



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა 35
ტელ.: +(995) 0322 55 33 33
ვებ-გვერდი: www.icc.edu.ge

საკონტაქტო პირი: ლალი ახვლედიანი
ტელ.: 577118588

მისია

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა შეიმუშავოს სხვადასხვა მიმართულების ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მისი რეალიზებით უზრუნველყოს კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება შრომის ბაზრისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2	ექთნის თანაშემწე /ინგლისურენოვანი/	მესამე	ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
3	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5	კბილის ტექნიკოსი	მეოთხე	კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
6	კბილის ტექნიკოსი	მეხუთე	კბილის ტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
7	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
8	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
9	აუდიტორის ასისტენტი	მესამე	აუდიტორის ასისტენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
10	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
11	ინფორმაციული ტექნოლოგი /ინგლისურენოვანი/	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	35
12	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მესამე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
13	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
14	ბულალტერი	მესამე	ბულალტერ-მოანგარიშის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
15	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მესამე	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების ხელმძღვანელი) III	60

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
16	სადაზღვევო აგენტი	მესამე	სადაზღვევო აგენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
17	სატრანსპორტო მეურნეობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტი	მესამე	სატრანსპორტო მეურნეობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
18	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეოთხე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
19	მშენებლობის მწარმოებელი	მეოთხე	მშენებლობის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
20	ბანკის ოპერატორი	მეხუთე	ბანკის ოპერატორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

**ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა
60 კრედიტი**

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები



პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მუშაობას;
- პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური, დასკვნითი) ჩაბარებას.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას;

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში შუალედური შეფასება შესაძლოა მოიცავდეს შუალედურ გამოცდას, პრეზენტაციას, აქტივობას, საშინაო დავალებას და სხვ.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში დასკვნითი გამოცდა შესაძლოა გულისხმობდეს: გამოცდის ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას ან პრეზენტაციის (ჯგუფური და ინდივიდუალური) წარმოდგენას (პრაქტიკის შემთხვევაში).

პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსში კრედიტი ენიჭება თუ განსაზღვრული შეფასების კომპონენტების (შუალედური შეფასებები, დასკვნითი გამოცდა და სხვ.) დაჯამებით უტოლდება მინიმუმ 51 ქულას. შეფასების სისტემის კომპონენტები დადებითად ფასდება, თუ პროფესიული სტუდენტი გადალახავს დადგენილ ქულათა ნახევარს ან/და მეტს.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%) მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს განიმტკიცოს თეორიული კომპონენტით შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს

სწავლის დასრულების შემდეგ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაც არის დაგეგმილი პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული შეფასების ფორმები და მეთოდები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

- ა) განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- ბ) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- გ) განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
- დ) შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

სწავლის მეთოდები

- ინტერაქტიული ლექციები;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- პრეზენტაცია;
- პრაქტიკა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები - პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, რეფერატის შესრულება და ა. შ.
- პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც პროფესიულ სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას მუშაობის პროცესში.

- როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს მასწავლებლისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსავითარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამის სილაბუსში.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: ექთნის თანაშემწის III საფეხურის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 90 კრედიტი (2250 საათი), აქედან (60%) - 54 კრედიტი (1350 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 36 კრედიტი (900 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 76 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

პროგრამის მიზანი – ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული განათლების მიზანია შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ურთიერთობის ფსიქოლოგია, პაციენტებთან და პაციენტის ახლობლებთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, შეიძინოს საბაზისო ცოდნა ბიოლოგიურ მეცნიერებებში, გაეცნოს ინფექციურ დაავადებებს და შეისწავლოს ინფექციის კერაში მუშაობისას

საკუთარი თავის დაცვის მეთოდები, სწავლის პერიოდში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა პირველადი სამედიცინო დახმარება, ინექციის ჩატარება, დეზინფექციის ჩატარება, სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა და ა. შ. ორსულის/მშობიარეს მოვლის პრაქტიკული ჩვევები; სხვადასხვა ასაკის ბავშვის მოვლის თავისებურებები; თერაპიული და ქირურგიული პაციენტების მოვლის ძირითადი პრინციპები; პალიატიური პაციენტის მოვლის ძირითადი მეთოდები; შეასწავლოს საექთნო მოვლის ასისტირების ძირითადი საშუალებების ფორმები და მეთოდები; პაციენტის ორგანიზმზე წამლების გვერდითი ეფექტების მოქმედება.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. იცის ურთიერთობის ფსიქოლოგია, პალიატიური მზრუნველობის არსი; საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას; ფლობს ბიოლოგიურ მეცნიერების (მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგის საფუძვლებს); შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება. გაცნობიერებული აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები; ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს, აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ. შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარება, ინფექციის კონტროლი, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. შეუძლია: მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება; პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში. დეზინფექციის ჩატარება, კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩატვლით; სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით); პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა; საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან. შეუძლია ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება; იცის პაციენტის უფლებები და უწევს ანგარიშს; შეუძლია დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა; ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება; მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა, საწოლის გამზადება ტრანსპორტირება. გარეგანი მანიპულაციების ჩატარება; ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა. განავლის მიმღები და შარდმიმღები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია. მწოლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა. შეუძლია ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგის მიმდინარეობისას; შეუძლია დახმარება წამლების დარიგების დროს. სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; უწევს ასისტირებას სტერილური მანიპულაციების დროს, უშუალოდ ასრულებს სუფთა მანიპულაციებს. პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება).</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების</p>

	<p>გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. შეუძლია ექთნის ინფორმირება პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის დარღვევის, ზედოზირების, უეცარი შეწყვეტის, ან ერთი წამლის მეორეთი თვითნებურად ჩანაცვლების შემთხვევაში; შეუძლია ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა. პრობლემურ ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება და ამის შესახებ ექთნის/ექიმის ინფორმირება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან; სხვისი საუბრის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება. მარტივი ტექსტების გაგება უცხოურ ენაზე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა. შეუძლია პაციენტის მოვლაზე, მანიპულაციებსა და სხვა პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში; შეუძლია მშობლიურ და უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება, კომუნიკაცია; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს პროფესიულ საქმიანობაში. იცის კომპიუტერული საოფისე პროგრამები.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა. შეუძლია, სხვისი ხელმძღვანელობითა და რჩევების გათვალისწინებით განსაზღვროს შემდგომი სწავლის პერსპექტივები. შეუძლია საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება, ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად, შეუძლია პროფესიული პრობლემის წამოიჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს; კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ.</p>

დასაქმების სფეროები – ექთნის თანაშემწის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სტაციონარში, ჰოსპისში, ბინის პირობებში ან/და მომვლელად მგზავრობა-მოგზაურობის დროს; ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი, ბავშვთა სახლები), ბინაზე მოვლის სამსახურში.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: მასაჟისტის III საფეხურის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი), აქედან (60%) - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 24 კრედიტი (600 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 46 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში. მინიმალური ასაკი 18 წელი.

პროგრამის მიზანი – მასაჟისტის III საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ კლასიკური მასაჟის მეთოდები, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სამკურნალო ფიზკულურა, ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარების მეთოდი, სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტები შეიძენენ ცოდნას ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლებში, ურთიერთობის ფსიქოლოგიაში, სამკურნალო ფიზკულტურის ძირითად საშუალებებზე, მათი ჩატარების ფორმებზე და მეთოდებზე, აგრეთვე ესთეტიკურ სალონებში მასაჟის კაბინეტის ორგანიზების საკითხებში.


სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუციელებელ ნაბიჯებს. იცის: ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები, დაავადების ეტიოლოგია და პათოგენეზი. პაციენტის ჩართვა სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში; იცის სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდიკები ორგანო-სისტემებზე ზემოქმედებისთვის (სისხლის მიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებისას). სამედიცინო მასაჟის საშუალებები: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები. კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებები - საერთო განმავითარებელი და სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, პასიური, პოსტურული,</p>
-------------------------------------	---

	<p>მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციური და სხვ.). კინეზოთერაპიის ფორმები: პროცედურა - ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, კინეზიო-ბალნეოთერაპია, ტერენკური, რაიტთერაპია, დამოუკიდებელი ვარჯიში; ასევე - მოძრაობის რეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი. სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟო ოთახის ფართობი, გარემო სან-ჰიგიენური წესების დაცვით, სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა, სიმაღლე); სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები; სპეციფიური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუმმასაჟორები და სხვ. ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარება. პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდები. ურთიერთობის ფსიქოლოგია. გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები. შეუძლია წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა. არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა; პერკუსია და პალპაცია, ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება. მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა. პირველადი დახმარების აღმოჩენა, სამკურნალო მასაჟის მეთოდების გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად). კინეზოთერაპიისა და მანუალური ტერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში, ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება, სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდების გამოყენება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. უნარი შესწევს: დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი. ამოიცნოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიებების გატარებაში.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. შეუძლია უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება, კომუნიკაცია პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან, სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია: ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე, მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ</p>

	განვითარებას.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; იცავს სანიტარულ ნორმებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს, პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი.

დასაქმების სფეროები – მასაჟისტიკის საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვანი ქვესისტემაა. იგი მოიცავს: სამკურნალო მასაჟს; ჰიგიენურ მასაჟს.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: კბილის ტექნიკოსი**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი), აქედან (60%) - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 24 კრედიტი (600 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 46 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ბიოლოგიაში.

პროგრამის მიზანი – კბილის ტექნიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, აღზარდოს სპეციალისტები, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ კბილის ტექნიკოსის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა, შეიძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, შეძლებენ ექიმის სტომატოლოგის შეკვეთის ზუსტად შესრულებას, შესრულებული კონსტრუქციების ხარისხის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში დახვეწას, ძერწვას, მოდელირებასა და პროთეზირებას. პროფესია ორიენტირებულია პიროვნებაზე, მის საჭიროებებსა და ინდივიდუალურ მოთხოვნებზე.

სწავლის შედეგი

ცოდნა	და	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების,
--------------	-----------	--

<p>გაცნობიერება</p>	<p>პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p> <p>იცის ადამიანის პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების ანატომიური აგებულება და ფუნქცია, შესწავლილი აქვს როგორც ზედა, ასევე ქვედა ყბებზე კბილთა მწკრივები, შეუძლია მათი გამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით, იცის თითოეული კბილის ანატომია და სტრუქტურული აგებულება; წარმოდგენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე; დაუფლებულია კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე საანაბეჭდო, ასევე პროთეტიკულ მასალებს; იცნობს ძირითად ტექნიკურ და დამხმარე საშუალებებს; შესწავლილი აქვს სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები და დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები; გაცნობიერებული აქვს აპარატურული, ანუ ორთოპედიული კონსტრუქციებით მათი (დეფექტები და დეფორმაციები) მკურნალობის აუცილებლობა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p> <p>შეუძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ანაბეჭდის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა; შეუძლია მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა, სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად;</p> <p>შეუძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ანაბეჭდის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა; შეუძლია მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა, სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად; შეუძლია საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება გუნდის სხვა წევრების სამუშაო გეგმასთან.</p> <p>შეუძლია კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით და მთლიანი გვირგვინებით. აღნიშნული პროცესისათვის იყენებს პლასტმასს, ფაიფურს, მეტალებსა და მათ კომბინაციებს; შეუძლია კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში მოდელზე სიტუაციის შეფასება, სამუშაო გეგმის შემუშავება სათანადო მასალების შერჩევით და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p> <p>შეუძლია თაბაშირის ან სხვა რომელიმე საანაბეჭდო მასალიდან მიღებული მასის საჭირო კონსისტენციის განსაზღვრა; შეუძლია პლასტმასების ტექნოლოგიური პროცესისათვის თვალყურის დევნება და დანადგარის ოპტიმალურ დროში გამორთვა, გაციების რეჟიმის დაცვა; შეუძლია სამუშაო მოდელზე სიტუაციის შეფასება, დასკვნის გაკეთება, სხვადასხვა ვარიანტების</p>

	განხილვა, საბოლოო გეგმის შერჩევა, მანიპულაციის ჩატარება; შეუძლია კბილების შექმნილი ან თანდაყოლილი დეფექტების შემთხვევაში გარკვეული დამოუკიდებლობით გააკეთოს დასკვნა და ცვილით მათი ფორმის აღსადგენად მიმართოს შესაბამის მეთოდს. ექიმის და კბილის ტექნიკოსის (მეოთხე და მეხუთე საფეხურის) შენიშვნის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. შეუძლია აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულების, მასალის გამოყენების მარტივი მეთოდის, საანაბეჭდო მასალების შენახვის წესებისა და მსგავსი ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; შეუძლია უცხოურ ენაზე კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე; სამუშაოს შესასრულებლად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. შეუძლია დასახელებული წყაროს გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად და სწავლისთვის; შეუძლია შემდგომი სწავლის დაგეგმვა; შეუძლია შექმნილი ცოდნით სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცის გუნდის წევრებთან, კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ეთიკური ნორმები, იცავს ამ ნორმებს, კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედებს შესაბამისად; პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ დავალებას, განსხვავებულ სიტუაციებში არ კარგავს კეთილგანწყობას.

დასაქმების სფეროები – კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კბილის ტექნიკოსი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: IV საფეხური

პროგრამის მოცულობა: 30 კრედიტი (750 საათი), აქედან (60%) - 18 კრედიტი (450 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 12 კრედიტი (300 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 20 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

პროგრამის მიზანი – კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული განათლების მიზანია შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ორთოდონტია და ბავშვთა ასაკის პროთეზირება; კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა; მოსახსნელი ფიტფიტოვანი პროთეზი; მოსახსნელი ბიუგელისებური პროთეზი; მოუხსნელი კონსტრუქციის პროთეზები; მეტალოპლასტმასის კონსტრუქციები; ბიოეთიკა და სხვა.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები, დაზიანებები, დეფორმაციები; შეუძლია მოდელებზე მათი ამოცნობა და ორთოდონტიული აპარატის შერჩევა მოქმედების პრინციპის მიხედვით.</p> <p>იცის ორთოპედიული კონსტრუქციების შესაქმნელად გეგმის შედგენა თანამედროვე უახლესი მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევით.</p> <p>იცის მოსახსნელი ორთოპედიული ბიუგელისებური პროთეზების დამზადების ტექნიკა.</p> <p>იცის მოსახსნელი ორთოპედიული ფირფიტოვანი პროთეზების დამზადების ტექნიკა.</p> <p>იცის მოუხსნელი პროთეზების დამზადება.</p> <p>იცის კბილის გვირგვინებისა და კბილთა მწკრივის დეფექტების წარმოქმნის მიზეზები, კლინიკა და შეუძლია მისი აღდგენა მეტალოპლასტმასის კონსტრუქციით. იცის სხვადასხვა სახის მოსაპირკეთებელი პლასტმასის გამოყენების ტექნოლოგია.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია კბილის გვირგვინების და კბილთა მწკრივის დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორება ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციებით, მირჩილვა, შედუღება, მეტალების დამუშავება, ჩამოსხმა.</p> <p>შეუძლია კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება; დაუფლებულია ძერწვისა და ცვილით მოდელირების ხელოვნებას.</p> <p>შეუძლია სამუშაო მოდელის ჩამოსხმა, მოდელის დამუშავება. ფლობს ფაიფურსა და პლასტმასებზე მუშაობის მეთოდებს; შეუძლია ნებისმიერი პროცედურისთვის შესაფერისი მასალის კრიტიკული ანალიზით შერჩევა და გამოსაყენებელი მეთოდის მისადაგება.</p> <p>შეუძლია მუშაობის პროცესში წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად საინფორმაციო წყაროების გამოყენება და სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება შრომის შედეგების გასაუმჯობესებლად.</p> <p>სადექ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიების და დეფორმაციების ამოცნობა მოდელებზე და რეაბილიტაციის საკითხების დაგეგმვა.</p>

დასკვნის უნარი	შუძლია ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად საჭირო ტექნოლოგიის შერჩევა, გამოსაყენებელი მასალების ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და საბოლოო შედეგის ანალიზი. შეუძლია დასკვნის გაკეთებამდე გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გაეცნოს უახლესი მასალების გამოყენების მეთოდებს და მიღებული დასკვნა დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ინგლისურ ენაზე მოიძიოს და დაამუშაოს საჭირო ინფორმაცია. ათვისებული აქვს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; შეუძლია მათი გამოყენება პრაქტიკაში. შეუძლია კბილის სატექნიკო სამუშაოებთან დაკავშირებით გააზრებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.
სწავლის უნარი	შეუძლია შესაბამის სფეროში სიახლეების დამოუკიდებლად მოძიება და საკუთარი ცოდნის განახლების საშუალებების დაგეგმვა; შეუძლია სწავლის შემდგომი საფეხურისათვის მომზადება.
ღირებულებები	იცის პროფესიასთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივი, ასევე დარგის ეთიკური საფუძვლები. ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად. შეუძლია ცვალებად სიტუაციაში პრობლემის გადაწყვეტა კოლეგებისა და პაციენტების სასარგებლოდ.

დასაქმების სფეროები – კბილის ტექნიკოსის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: კბილის ტექნიკოსი**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კბილის ტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური

პროგრამის მოცულობა: 30 კრედიტი (750 საათი), აქედან (60%) - 18 კრედიტი (450 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 12 კრედიტი (300 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 20 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

პროგრამის მიზანი – კბილის ტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული განათლების მიზანია შეასწავლოს პროფესიულ სტუდენტს ორთოდონტიული აპარატები; მეტალოკერამიკა და ცირკონის პროთეზები; ყბა-სახის ორთოპედია და ტრავმატოლოგია; სტომატოლოგიური დაავადებები; მოსახსნელი და მოუხსნელი პროთეზები; კბილის გვირგვინისა და კბილთა მწკრივის დეფექტების მძიმე ფორმა; ჰიგიენა.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს კბილის ტექნიკოსისათვის საჭირო ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; იცის ზოგადად სტომატოლოგიური დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკა, კლინიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა. დაუფლებულია ნებისმიერი ორთოდონტიული და ორთოპედიული აპარატის შექმნის ხელოვნებას, ასევე მოსახსნელი ორთოპედიული აპარატის შექმნის ხელოვნებას კბილთა მწკრივის სხვადასხვა სახის ანომალიების დროს, მოუხსნელი კონსტრუქციის პროთეზებით პროთეზირებას.</p> <p>იცის ბავშვთა და მოზარდთა ორთოპედიული მკურნალობის აუცილებლობა და პროთეზის კონსტრუქციის თავისებურება, დამზადების ტექნიკა. იცის პროფესიული ეთიკა.</p> <p>იცის კბილის გვირგვინისა და კბილთა მწკრივის მძიმე ფორმის დეფექტების წარმოქმნის მიზეზები და შედეგები. მათი მკურნალობისთვის გამოყენებული პროთეზების და არტაშენების თავისებურებანი.</p> <p>იცის ჰიგიენის ნორმები და ახორციელებს სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელების საშიშროების ასაცილებელ ღონისძიებებს.</p> <p>გაცნობიერებული აქვს სატექნიკო ლაბორატორიისთვის უსაფრთხოების ნორმები;</p> <p>აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს.</p> <p>იცის საანაბეჭდო და პროთეტიკული ნებისმიერი თანამედროვე მასალის დანიშნულება და გამოყენების მეთოდები.</p> <p>იცის კბილების, კბილთა ნწკრივების, ყბების ალვეოლური ნაწილის დეფექტები, ყბა-სახის მიდამოს ტრავმები, ანომალიები, დეფორმაციები, იმ აპარატების მოქმედების პრინციპი და დამზადების ტექნიკა, რომლებიც ამ პათოლოგიების დროს გამოიყენება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს თეორიული ცოდნა და ობიექტურად შეაფასოს სამუშაო მოდელზე რაიმე პათოლოგიით განვითარებული კბილების, კბილთა მწკრივებისა და ყბების ალვეოლური ნაწილის დეფექტი;</p> <p>შეუძლია მძიმე დეფორმაციების შემთხვევაში ორთოპედიული და ორთოდონტიული აპარატების მისადაგება და შექმნა. ასევე მთლიანი მოსახსნელი პროთეზის შექმნა.</p> <p>შეუძლია ტექნოლოგიების შერჩევით დაავადების რეციდივის თავიდან ასაცილებლად ექიმთან გადაწყვიტოს პროფილაქტიკისთვის აუცილებელი საკითხები; შეუძლია სატექნიკო ლაბორატორიის ორგანიზება, უსაფრთხოების ნორმების დაცვა, ინფექციის კონტროლი. შეუძლია სხვისი სამუშაოს დაგეგმვა;</p> <p>შეუძლია კბილების გვირგვინების დეფექტების პროთეზირება ჩანართებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით, ხელოვნური გვირგვინებით, ისეთი მასალების ტექნოლოგიების ცოდნითა და გამოყენებით, როგორცაა: ფაიფური, ცირკონი, პლასტმასი, ოქრო, ვერცხლი, ფოლადი და ფოლადის შენადნობები, ასევე მათ კომბინაციები;</p>

	<p>შეუძლია დაშლილი გვირგვინის რესტავრაცია წკირების დახმარებით;</p> <p>შეუძლია კბილების ნაწილობრივი დაკარგვის დროს კბილთა მწკრივების დეფორმაციების ობიექტური შეფასება სამუშაო მოდელზე და მოუხსნელი ხიდისებური პროთეზებით, ან ნაწილობრივი, მოსახსნელი- ფირფიტოვანი პროტეზების გამოყენებით, რეაბილიტაცია;</p> <p>შეუძლია: მთლიან მოსახსნელი ფირფიტოვანი კბილის პროთეზის დამზადება - ანაბეჭდიდან თაბაშირის მოდელის ჩამოსხმა, პროთეზის საზღვრების მონიშვნა და ცვილის თარგების დამზადება საარტიკულაციო მორგებით, ოკლუდატორში მოდელის დათაბაშირება, უკბილო ყბებზე კბილების დაყენება სხვადასხვა სახის თანკბილვების შემთხვევაში. მოდელის დათაბაშირება დარიჯაში, ცვილის ბაზისის შეცვლა პლასტმასით, კბილის პროთეზის დამუშავება და გაპრიალება. შეუძლია ანაბეჭდიდან მოდელის ჩამოსხმა, ნაწილობრივ მოსახსნელი ფირფიტოვანი კბილის პროთეზის საზღვრების მონიშვნა და ცვილის თარგების დამზადება საარტიკულაციო მორგებით; კლამერების დაყენება შესაბამისი განლაგებით, ხელოვნური კბილების დაყენება, დარიჯაში დათაბაშირება, სანთლის ბაზისის პლასტმასით შეცვლა და მათი დამუშავება-გაპრიალება. ასევე კბილის პროთეზის დამზადების დროს დაშვებული შეცდომების პროფილაქტიკა; ჩანართების დამზადება, ცვილისგან მოდელირებული ჩანართის შეცვლა. ნახევარი გვირგვინის დამზადება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, უნაკერო გვირგვინის დამზადება გარედან და შიგნიდან დაშტამპვის მეთოდით, ლითონის გვირგვინის დამზადება კომბინირებული მეთოდით, ნაკერიანი გვირგვინების დამზადება, პლასტმასის გვირგვინის დამზადება, ლითონის გვირგვინის დამზადება პლასტმასის პირნაკეთობით. შეუძლია: პლასტმასისა და კომბინირებული მოუხსნელი ხიდისებური პროთეზების დამზადება. მოდელის ჩამოსხმა, ლითონის კარკასის დამზადებას მოუხსნელი ხიდისებრი პროთეზისთვის; კბილის გვირგვინების მოდელირებას გამოჭედვა და მირჩილვა, ლითონის კარკასის დამუშავება. კომბინირებული მოუხსნელი ხიდისებური პროთეზის ლითონის კარკასზე კბილის გვირგვინების ცვილით მოდელირებასა და ცვილის პლასტმასით შეცვლა, გამოხარშვა. გამოხარშული კომბინირებული მოუხსნელი ხიდისებური პროთეზის დამუშავება-გაპრიალებას.</p>
დასკვნის უნარი	<p>შესწევს უნარი ამოიცნოს პრობლემა, დასკვნის გაკეთებამდე გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები და შეადგინოს სამუშაოს შესასრულებლად ალტერნატიული გეგმა;</p> <p>შეუძლია ანაბეჭდის ექიმისგან მიღების შემდეგ სამუშაო მოდელზე ორიგინალური დასკვნის გაკეთება. შეუძლია მოდელის კრიტიკული შეფასება და შესაბამისად ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად სხვადასხვა შესაძლებელი ვარიანტის განხილვა, ექიმთან კოორდინირებულად საბოლოო გეგმის შედგენა და მიღებული შესაძლო შედეგის კრიტიკული ანალიზი. შეუძლია დამაჯერებლად ექიმის ინფორმირება და შესწევს მასთან შეთანხმების უნარი;</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენოს სატექნიკო საინფორმაციო ტექნოლოგიები;</p> <p>აქვს კომპიუტერული ტექნიკის კარგი ცოდნა და შეუძლია მშობლიურ და ინგლისურ ენებზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება, ინფორმაციის დამუშავება და ანგარიშის წარდგენა</p>

	<p>შეუძლია მიღებული ცოდნის გადაცემა , გაზიარება, საკუთარი საქმიანობის დემონსტრაციის უნარი.</p> <p>შეუძლია როგორც ზეპირი ასევე წერილობითი კომუნიკაცია კოლეგებსა და სამედიცინო პერსონალთან.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია კარიერული წინსვლის დაგეგმვა. საზღვრავს პროფესიული სრულყოფისათვის საჭირო ნაბიჯებს.</p>
ღირებულებები	<p>მოქმედებს როგორც სამუშაო, ასევე განსხვავებულ სიტუაციებში მედიცინის მუშაკის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმების დაცვით; მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს; შეუძლია სადაო სიტუაციებში კრიტიკულად მიუდგეს საკუთარ ნამუშევარს, გააკეთოს შესაბამისი დასკვნა; შეუძლია გაითვალისწინოს პაციენტისა და ექიმის შენიშვნები; აფასებს სხვების დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი; შეუძლია თავისი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას</p>

დასაქმების სფეროები – კბილის ტექნიკოსის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: ფარმაცევტის თანაშემწე**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური

პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი (3000 საათი), აქედან 40% (48 კრედიტი - 1200 საათი) ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 60% (72 კრედიტი - 1800 საათი) - თეორიულ კომპონენტს.

პროგრამის ხანგრძლივობა: 100 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა -კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად სრული ზოგადი განათლება, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება ქიმიაში.

პროგრამის მიზანი – ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს სათანადო ცოდნითა და კომპეტენციებით შეიარაღებული სპეციალისტები, რომლებიც შეიძენენ თეორიულ ცოდნას ფარმაკოლოგიაში, ფარმაცევტულ ქიმიაში, გაეცნობიან ფარმაცევტული საქმიანობის მენეჯმენტის და მარკეტინგის საკითხებს, შეისწავლიან მზა წამალთა ფორმების

სააფთიაქო და საქარხნო ტექნოლოგიას, ფარმაცევტულ საქონელმცოდნეობას, ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციას და ეკონომიკას, რაც საფუძველი იქნება პრაქტიკულ საქმიანობაში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს. იცის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზოგადი საფუძვლები. იცნობს ფარმაცევტულ წარმოებაში და ანალიზურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესებს; იცის ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების საჭიროებისამებრ მომზადების ზოგადი თეორიული საფუძვლები; იცნობს წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგად თეორიულ საფუძვლებს; იცის წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მირება, აღრიცხვა; იცის წარმოების პროცესის დაწყებით სტადიაზე (დამხმარე სამუშაოები) ნედლეულისა და მასალების მომზადების (აწონვა, დაწვრილმანება, გაცრა, სერევა, სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა და ა. შ.) თეორიული საფუძვლები; იცის მომზადებული პროდუქტის დაფასოება, შეფუთვა, მარკირება; იცის ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებების, სამედიცინო დანიშნულების საქონლის საგნების, მასალების, შემავსებლის, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა, სერიული აღრიცხვა და ვარგისობის ვადის კონტროლი; აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ხასიათსა და სირთულეს პოულობს გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადასაწყვეტად. შეუძლია ფარმაცევტული ხსნარების, ფხვნილების, გამონაცემების, მონახარშების, მალამოების დამზადება აფთიაქში, ექიმის რეცეპტის შესაბამისად, ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით; წარმოების საწყობში შემოსული ნედლეულისა და მასალების მიღება, აღრიცხვა; მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის დამზადება, შრობა, შენახვა, პირველადი დამუშავება (დაწვრილმანება, გაცრა, შერევა). სხვადასხვა გამხსნელების მომზადება, გახსნა, აორთქლება, შრობა; ტექნოლოგიური ოპერაციების (დაფასოება, შეფუთვა-მარკირება) განხორციელებაში მონაწილეობა; ფარმაცევტული პროდუქციის (მედიკამენტები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, პარასამკურნალო საშუალებები), სამედიცინო დანიშნულების საქონლის-საგნების, მასალების, შემავსებელი, დამხმარე და ძირითადი ნივთიერებების მიღება-განთავსება, შენახვის პირობების უზრუნველყოფა და ვარგისობის ვადის კონტროლი; მეორე და მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია; ფარმაცევტული ანალიზისათვის ლაბორატორიის მომზადება; რეაქტივების, ინდიკატორების, ტიტრიანი ხსნარების, ბუფერული ხსნარების მომზადება შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის მიხედვით, ფარმაციის ბაკალავრის ან</p>

	მაგისტრის მეთვალყურეობით; ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ობიექტების გარეგნული დათვალიერება, შეფასება, სინჯების არება და დამუშავება. წამლის ხარისხის კონტროლის და ქიმიურ ტოქსიკოლოგიური ანალიზის განხორციელება ფარმაციის ბაკალავრის ან მაგისტრის მეთვალყურეობით, დოკუმენტაციის წარმოება. მეორე და მესამე ჯგუფის პრეპარატების გაცემა დამოუკიდებლად; სხვებისათვის საკუთარი ცოდნის გადაცემა.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. უნარი შესწევს: ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების, რეაქტივებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის შენახვის პირობების დარღვევის შესახებ დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას; ფარმაცევტული ნედლეულის, სამკურნალო საშუალებების და რეაქტივების ვარგისიანობის ვადების კონტროლი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება დროული რეალიზაციის ან ამოღების აუცილებლობის შესახებ.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა. უნარი შესწევს ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციისა, ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშის წარდგენა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების აფთიაქის პირობებში მომზადების ტექნოლოგიების, ფარმაცევტული, ნედლეულის, პროდუქციის და რეაქტივების ვარგისიანობის ვადებისა და მათი შენახვის პირობების შესახებ. შეუძლია მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით. უნარი შესწევს ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფარმაცევტული საქმიანობის უზრუნველსაყოფად. უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია. აქვს დემონსტრირების უნარი.
სწავლის უნარი	შეუძლია ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა, შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს. მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; იცავს და სხვებსაც მოუწოდებს დაიცვან პროფესიული ეთიკის ნორმებს.

დასაქმების სფეროები – ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს სააფთიაქო, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ფარმაცევტულ ბაზებში, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ,

წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, სტომატოლოგიურ და სამედიცინო ტექნიკის მაღაზიებში.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროფესიული განათლების საფეხური: V საფეხური

პროგრამის მოცულობა: 150 კრედიტი, სულ 3750 საათი, აქედან: 60% - 90 კრედიტი (2250 საათი), 40% - 60 კრედიტი (1500 საათი) სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის.

პროგრამის ხანგრძლივობა: 130 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: დაწესებულებაში ჩაირიცხება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს სრული ზოგადი განათლების კურსი და გაივლის გასაუბრებას. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის და დაწესებულების შესაბამისი აქტივით განსაზღვრული სხვა დოკუმენტების წარმოდგენისა და გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ პირი მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.

პროგრამის მიზანი – პროფესიული პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სფეროში საექთნო საქმის პროფესიონალი კადრების აღზრდა, რომლებიც ნებისმიერი ასაკის ინდივიდის, ოჯახების, მოსახლეობის, სხვადასხვა ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის და დაავადებათა პრევენციის, ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის პროცესებში მონაწილე პირები იქნებიან. პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კადრის აღზრდას, რომლის საქმიანობა მოიცავს ავადმყოფთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა / ტერმინალურ პაციენტთა მოვლასა და მართვას. საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით პრაქტიკოსი ექთანი შესაბამისად უნდა პასუხობდეს მოსახლეობის ჯანდაცვის მუდმივად ცვლად საჭიროებებს.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობიერება; • აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და
-------------------------------------	---

	<p>კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს; იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, ასევე იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები; იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება; იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;</p> <ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას და მონიტორინგს; • ფლობს გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს (BLS, ACLS, PHTLS, ATLS); • იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს; • იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს; • გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში; იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p> <p>სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით;</p> <p>პაციენტის ოპტიმალური, კომპორტული და ეთიკური მოვლის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა;</p> <p>პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედებები განხორციელება;</p> <p>პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;</p> <p>მარტივი კომპიუტერული და პროგრამული პრობლემების გადაჭრა; ინგლისურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება; კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირება; სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეძლებს რეალურ გარემოში როგორც პაციენტთან, ასევე მის ახლობლებსა და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან გამართულ ურთიერთობას ეთიკის ნორმების დაცვით; პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;</p> <p>შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება;</p>

	<p>მოვლის დაგეგმვა და მოვლის პროცესის მოდელირება პაციენტის მდგომარეობის, ასაკის და დაავადების გათვალისწინებით; საკუთარი თავის დაცვა სხეულებრივი და მენტალური პრობლემებისაგან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს (განსაკუთრებით ინფექციის კერაში მუშაობისას); შეხების განსაკუთრებული უნარების ჩამოყალიბება; ტერმინალურ ფაზაში მყოფი პაციენტზე მოვლა-მზრუნველობა; სტაციონარში და ბინის პირობებში პაციენტის მოვლა;</p> <p>პაციენტის სხვადასხვა ინვაზიური და არაინვაზიური პროცედურების მოვლა და წარმოება;</p> <p>სამკურნალო საშუალებების შენახვა, დარიგება, ორგანიზმში შეყვანა და წამლების ორგანიზმზე მოქმედების გვერდითი ეფექტების გათვალისწინება; მასზე დელეგირებული სამკურნალო წამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის მასალის განადგურება წესების დაცვით; ცალკეულ დაავადებათა მიმდინარეობისა და თავისებურებების გათვალისწინება; დეზინფექციის ჩატარება; სანიტარული ნორმების დაცვა; პაციენტის მოვლა ასეპტიკისა და ანტიასეპტიკის გათვალისწინებით; პაციენტს ასწავლოს საკუთარი თავის მომსახურება და მოვლა; გინეკოლოგიური დაავადებების ზოგადი არსის გათვალისწინება და გართულებების პროფილაქტიკა; გარკვეული დამოუკიდებლობით მელოგინე ქალის მოვლა; სხვადასხვა დაავადების სიმპტომო-კომპლექსების ამოცნობა; ავადმყოფი ბავშვის მოვლისას პედიატრიის საფუძვლების გათვალისწინება; ნევროლოგიურ დაავადებათა სიმპტომების ამოცნობა და შესაბამისი მოვლა; პაციენტის ასაკობრივი ნორმების გათვალისწინება ფსიქიური პრობლემების მქონე პაციენტებთან ურთიერთობისას; ფსიქიატრიული პაციენტის მოვლისას წარმოქმნილი პრობლემებზე ადექვატური რეაგირება და ფსიქიატრიული პაციენტის შესაბამისი მოვლა; კრიტიკულ სიტუაციებში საკუთარი თავის მართვა; პირველადი გადაუდებელი დახმარება სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის და ცნობიერების დარღვევისას; პაციენტის აღმსარებლობის მიუხედავად მისი მოვლა ადამიანური ღირსების შესატყვისად; საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან;</p> <p>დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება-განათლება, მართვა, ფუნქციების ადექვატური დელეგირება;</p> <p>სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ანდა იმუნიზაციის წარმოება;</p> <p>ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>პრობლემის ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;</p> <p>დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან; ამოიცნოს პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს</p>

	<p>სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>იდებებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება; პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი კონტაქტის, მოსმენილის გააზრების და საჭიროებისას დაზუსტების;</p> <p>უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით;</p> <p>უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. აქვს პრეზენტაციის უნარი.</p> <p>იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით; კრიტიკული სიტუაციის შეფასების და ინფორმირების; პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის; საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ექიმისთვის მიწოდების; პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის; დანიშნულების შესრულების შესახებ დროული ინფორმაციის მიწოდების; დოკუმენტაციის კვალიფიცირებული წაკითხვის და ინფორმირების; შეუძლია პაციენტის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის და მათთვის სხვადასხვა დაავადებისას მოვლის თავისებურებების გათვალისწინების სწავლების; მედიკამენტური დანიშნულების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი ინფორმირების; ინგლისურ ენაზე მარტივი კომუნიკაციის; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების; სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებთან ერთნაირად კეთილგანწყობილი დამოკიდებულების.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში;</p> <p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას;</p> <p>საჭიროების შემთხვევაში მითითებული ლიტერატურის მოძიების, ინფორმაციის მოპოვების და ცოდნის გაღრმავების; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის გამოყენებით ხელმისაწვდომი გახადოს თავისთვის თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა; კერძო სწავლების საფუძვლების ცოდნა აძლევს პროფესიული წინსვლის შესაძლებლობას; შემდგომი სწავლის შესაძლებლობებისა და გადაწყვეტილებების მიღების.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულებების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება;</p> <p>მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;</p>

	<p>მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს;</p> <p>ავასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.</p> <p>პაციენტებთან, მათ უახლოეს მიკროსოციუმთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ეთიკური ნორმების დაცვის უნარი; პროფესიული პრობლემების წამოჭრისას გულისხმიერი დამოკიდებულების უნარი; პალიატიური მოვლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება;</p> <p>გარემოს სანიტარული მდგომარეობის შეფასებისა და პრევენციის უნარები; რელიგიური მიკუთვნებულობის მიუხედავად კრიტიკული სიტუაციებისას პაციენტის მიმართ კეთილგანწყობა.</p>
--	--

დასაქმების სფეროები – მე-5 საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების ადგილებია: სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკური, სამკურნალო/პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულებები, ჰოსპისები, სხვადასხვა ტიპის თავშესაფრები, და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული სფეროების ორგანიზაციები.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: აუდიტორის ასისტენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აუდიტორის ასისტენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი), აქედან (60%) - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 24 კრედიტი (600 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 46 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - სრული ზოგადი განათლების საფეხური.

დამატებითი მოთხოვნები - პრაქტიკის ხელმძღვანელი უნდა იყოს სერტიფიცირებული აუდიტი.

პროგრამის მიზანი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, აღზარდოს სპეციალისტები, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ აუდიტორის ასისტენტის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა, შეიძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, შეძლებენ დათვლას, აღწერას, გაზომვას და გამოთვლითი სამუშაოების შესრულებას, ბუღალტრული, ფინანსური და

საგადასახადო ანგარიშგებების, პირველადი სააღრიცხვო და საგადასახადო დოკუმენტების ინტერპრეტირებას და ხარვეზების აღმოჩენას, საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობას.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p> <p>აქვს ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების ზოგადი ცოდნა; იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • საგადასახადო სისტემის პრინციპები და პროცესები; • ბიზნესის სამართლის და ეკონომიკის საფუძვლები; • მათემატიკა; • სტატისტიკა; • რაოდენობრივი მეთოდები; <p>აუდიტორული საქმიანობის არსი და პრინციპები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p> <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დათვლა, აღწერა, გაზომვა და გამოთვლითი სამუშაოების შესრულება; • ბუღალტრული, ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებების ინტერპრეტაცია და ხარვეზების აღმოჩენა; • პირველადი სააღრიცხვო და საგადასახადო დოკუმენტების ინტერპრეტაცია და ხარვეზების აღმოჩენა; • საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობა და სამეურნეო ოპერაციების ინტერპრეტაცია; <p>საკუთარი სამუშაოს შესასრულებლად კონკრეტული მიდგომის შემუშავება და საჭირო რესურსების იდენტიფიკაცია</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p> <p>შეუძლია გამოვლენილი ხარვეზების ანალიზი, დაჯგუფება, მათი დასაბუთებისათვის ადეკვატური სამართლებრივი ნორმის იდენტიფიკაცია და აუდიტორისთვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციაში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p> <p>აქვს უნარი მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება.</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მესამე მხარესთან საფინანსო, საბუღალტრო და საგადასახადო საკითხების გარკვევა, ამ მიზნით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა, პასუხი ან/და ანგარიში. • სრულყოფილად ფლობს ძირითად საოფისე პროგრამებს (Word, Excell, Internet).

	აქვს უცხოურ ენაზე შედგენილი საფინანსო, საბუღალტრო და საგადასახადო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. შეუძლია საფინანსო, საბუღალტრო და საგადასახადო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. მოქმედებს აუდიტის ეთიკის კოდექსის ძირითადი ნორმების შესაბამისად. არის პუნქტუალური, მოწესრიგებული, კეთლისინდისიერი.

დასაქმების სფეროები – აუდიტორის ასისტენტის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ აუდიტორულ ფირმაში აუდიტორის ასისტენტად ან კერძო და საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტის, საფინანსო და საბუღალტრო განყოფილებებში.



**პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამის სახელწოდება: ინფორმაციული
ტექნოლოგი**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 35 კრედიტი (875 საათი), 14 კრედიტი მოიცავს (40% -350 საათი) -თეორიულ კომპონენტს, 21 კრედიტი მოიცავს (60% – 525 საათი) ეთმობა -პრაქტიკას. პრაქტიკული კომპონენტი განაწილებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კურსებად. 9 კრედიტი ეთმობა (225 საათი)-სასწავლო პრაქტიკას, 12 კრედიტი ეთმობა (300 საათი)-საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 32 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება მათემატიკაში.

პროგრამის მიზანი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: გაზარდოს კვალიფიციური კადრი - ინფორმაციული ტექნოლოგის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს IT თანამდებობაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

მისცეს ცოდნა ინფორმაციული ტენოლოგიის სფეროსათვის ძირითადი ფაქტების, პროცესებისა და პრინციპების შესახებ ზოგადი კონცეფციების გათვალისწინებით, რათა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს ამ სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების გამოყენება პრაქტიკული საქმიანობისას; გამოუმუშაოს ისეთი უნარები, რომ შეძლოს დავალების შესრულება სხვადასხვა მიდგომებით, შესაბამისი მეთოდებით, ინსტრუმენტებითა და მასალებით; შეძლოს საქმიანობისას გართულეულ სიტუაციებში აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება და ინფორმაციის ცნობილი წყაროების გამოყენებით წარმოქმნილი პრობლემების შეფასება-ანალიზი; პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე მარტივ ინგლისურ ენაზე ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით; აცნობიერებდეს თანამედროვე ტექნოლოგიების ცვლილებებს და ამასთან დაკავშირებით პროფესიული წინსვლისათვის შეძლოს სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; გამოუმუშაოს პროფესიულ სტუდენტს ამ პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებები, კერძოდ პატივისცემა კოლეგების და დამკვეთების მიმართ, შეძლოს მათი სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოქმედება, საქმიანობა ეთიკის ნორმების დაცვით.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის: თანამედროვე კომპიუტერების არქიტექტურა; კომპიუტერების შიგა კომპონენტების (დედაპლათა, ცენტრალური პროცესორი, მუდმივი და ოპერატიული მეხსიერების მიკროსქემები, გამაგრილებელი სისტემები, გაფართოების პლატები, ინფორმაციის შემნახველი მოწყობილობები, შიგა კაბელები) დანიშნულება და მახასიათებლები; აპარატურული და პროგრამული უსაფრთხოების წესები; სტაციონარული და პორტატიული კომპიუტერების მსგავსება და განსხვავება; პერიფერიული მოწყობილობების გამართვა და მათი მუშაობის პრინციპები; ოპერაციული სისტემის დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; ოპერაციული სისტემის აპარატურული უზრუნველყოფის მოთხოვნები და პლატფორმასთან შესაბამისობის განსაზღვრა; ოპერაციული სისტემის დაყენება და პარამეტრების განსაზღვრა; ოპერაციული სისტემების გაუმართაობების მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა; სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების მოწყობა; კომპიუტერული ქსელის არსი და უპირატესობა; ქსელური მოწყობილობების დანიშნულება და მახასიათებლები; დამისამართება, გამტარუნარიანობა და მონაცემთა გადაცემა; ლოკალური ქსელის არქიტექტურა და ტოპოლოგიები; კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები და ქსელური სერვისების გამოყენება; აპარატურული და პროგრამული დიაგნოსტიკური საშუალებები და წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის საკითხები;</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია: კომპიუტერის აწყობა, მოდერნიზაცია და გამართვა; პროფილაქტიკური მომსახურება ფუნქციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით; გაუმართაობების აღმოფხვრა და კომპიუტერების შეკეთება; პერიფერიული მოწყობილობების დამატება და გამართვა; დრაივერების ინსტალაცია და განახლება; ოპერაციული სისტემის შერჩევა კლიენტის მოთხოვნების საფუძველზე, მისი დაყენება, გამართვა და ოპტიმიზაცია; სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ინსტალაცია, განახლება და გამართვა; მონაცემთა აღდგენა; აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის დიაგნოსტიკა, წარმოქმნილი პრობლემების მიზეზის დადგენა და მის კვლიფიციურ აღმოფხვრა; მცირე საოფისე ქსელების</p>

	დაპროექტება და მოწყობა. ქსელური მოწყობილობებისა და კაბელის ტიპების არჩევა; ქსელის ინსტალაცია და ტესტირება; ქსელური რესურსების კონფიგურაცია. შეუძლია პრაქტიკული დავალების შესრულება მოთხოვნის შესაბამისად; შეუძლია დავალების შესრულებისას სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება, სათანადო ინსტრუმენტების და მასალების შერჩევამისადაგება შედეგის მისაღწევად.
დასკვნის უნარი	ტექნიკური დათვალიერების ან კლიენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია წარმოქმნილ პრობლემის მიზეზების გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი კვალიფიცირებული აღმოფხვრა. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენებით
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი კლიენტებთან, კლიენტისგან ინფორმაციის მიღება პრობლემის შესახებ, კლიენტის კომპიუტერული პრობლემის განსაზღვრა. საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია კლიენტის პრობლემის აღწერა და წერილობით გადმოცემა. ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, შესაბამისი პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი მოსაზრებების წარდგენა კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან. შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში მარტივი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. აქვს ჯგუფში მუშაობის და კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.
სწავლის უნარი	ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა. ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრსით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.
ღირებულებები	გაცნობიერებული აქვს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. ასევე იცავს უსაფრთხოების წესებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე

დასაქმების სფეროები – ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება დასაქმდეს სამთავრობო, არასამთავრობო და კომერციულ ორგანიზაციებში ტექნიკოსის თანამდებობაზე; კომპიუტერულ სერვის ცენტრებში პრობლემების დისტანციური უზრუნველყოფის სპეციალისტად; შეეძლება მუშაობა მცირე და საშუალო ტიპის ორგანიზაციებში IT სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო პროფილურ ან დიდი მასშტაბის ორგანიზაციაში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის ადმინისტრატორის თანაშემწედ.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: კრიმინალისტი
(ფოტოდაქტილოსკოპისტი)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი), აქედან - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 24 კრედიტი (600 საათი) - სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 40 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობის დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური (მინიმალური ასაკი 17 წელი).

პროგრამის მიზანი – პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი), რომელიც წვლილს შეიტანს ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნაში და ქვეყანაში კრიმინალისტიკის განვითარებაში. პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება საგამომიებო მოქმედებებში სისხლის სამართლის ნორმების დაცვით მონაწილეობის უნარი, შემთხვევის ადგილის შესწავლის, მატერიალური მტკიცებულებების აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების უნარი. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას საგამომიებო და საექსპერტო დაწესებულებებში.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების, ზოგადი კონცეფციებისა და ფაქტების ცოდნა, აცნობიერებს გართულულებული ამოცანების შესრულებისათვის გადასადგმელ ნაბიჯებს.</p> <p>იცის: სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი პრინციპები, სამართალდამცავი და საგამომიებო ორგანოების ადგილი აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სისტემაში, მათი საქმიანობის განხორციელების კანონიერი პრინციპები, კრიმინალისტის პროფესიული ამოცანები. იცნობს საგამომიებო მოქმედების განხორციელების თანმიმდევრობას და გამომიების უსაფრთხოების საკითხებს.</p> <p>იცის კრიმინალისტიკური ტექნიკა და მეთოდოლოგია, მათ შორის ფოტო და ვიდეო ტექნიკის გამოყენებით საგამომიებო მოქმედებების პროცესუალური საკითხები. იცის სქემების შედგენა პირობითი ნიშნებისა და კოორდინატების გამოყენებით.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების</p>	<p>შეუძლია სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომების შეფასება და მათი განხორციელებისათვის სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების</p>

უნარი	<p>შერჩევა მისადაგება.</p> <p>აქვს მატერიალური მტკიცებულებების აღმოჩენისა და ფიქსაციის უნარი.</p> <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შემთხვევის ადგილის სქემის შედგენა, პირობითი ნიშნების კოორდინატებისა და მასშტაბების გამოყენებით; ✓ ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა ფიქსაცია და ამოღება, პროცესუალურად გაფორმება, შეფუთვა დალუქვა მათი უსაფრთხოდ შენახვა; ✓ დაქტილოსკოპიური კვლების აღმოჩენა, ფიქსაცია ამოღება, შეფუთვა და კვლების დაცვა; ✓ დაქტილოსკოპიური ბარათის შედგენა; <p>დაქტილოსკოპიური კვლების ცენტრალურ ბაზაში გაგზავნა.</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p> <p>შეუძლია: განსხვავებულ სიტუაციებში მუშაობისას პრობლემების გადასაჭრელად საჭირო ინფორმაციით სარგებლობა; ფოტოგადაღების შესატყვისი მეთოდის შერჩევა; არასაკმარისი ფაქტობრივი მოცემულობის გამო კვალის გამოვლინების სირთულის დროს შესაბამისი მიდგომის შემუშავება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებით.</p> <p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კვალის აღმოჩენის, ფიქსირების საკითხებთან დაკავშირებით. ფლობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, კომპიუტერული გრაფიკის რედაქტორებს.</p> <p>შეუძლია კრიმინალისტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება. შეუძლია უცხო ენაზე კომუნიკაცია პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია წინასწარ განსაღვრულ ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება</p> <p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება - ფოტოგრაფიული და კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დონის გაღრმავება და კრიმინალისტიკის პროფესიის დასაუფლებლად სწავლის გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიღება.</p>
ღირებულებები	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად მოქმედება. გაცნობიერებული აქვს პროფესიული მუშაობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და უსაფრთხოების წესებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე. აცნობიერებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გადაღებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის მნიშვნელობას.</p>

დასაქმების სფეროები – აღნიშნული პროფესიული განათლების მქონე სპეციალისტებს შეუძლიათ იმუშაონ საგამოძიებო და საექსპერტო დაწესებულებებში.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება:** ოფისის მენეჯერი (მდივან რეფერანტი)
მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერანტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა: 46 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერანტის) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება.

პროგრამის მიზანი – პროფესიული პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციისა და ზოგადი კომპეტენციებით აღჭურვილი ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერანტის) მომზადება, რომელსაც ექნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

პროფესიული პროგრამის გავლის შემდეგ პროფესიული სტუდენტი შეიძენს იმ აუცილებელ ცოდნასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია კონკურენტუნარიანი ოფისის მენეჯერისათვის (მდივან რეფერანტი), დასაქმებისა და სასურველი სამუშაოს პოვნისათვის.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს : სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების , პრინციპების პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს :</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაო ადგილის მოწყობის წესები; • საოფისე მომსახურების ძირითადი სახეები; • ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესები; • საერთო და სპეციალური საქმისწარმოების წესები; • დოკუმენტა კლასიფიკაცია იურიდიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით; • ოფიციალური დოკუმენტების შედგენა-გაფორმება და მასთან მუშაობის წესები; • საარქივო დოკუმენტა ფორმირების წესები; • საერთაშორისო მიმოწერის სტანდარტები. • სხვადასხვა ღონისძიებეთა მოწყობის წესები;
-------------------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის წესები; ტექსტის რედქტირების საფუძვლები; ადმინისტრაციული და შრომის სამართლის საფუძვლები. <p>საქართველოს კონსტიტუცია;</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია პირადი საქმის მომზადება; სამსახურებრივი დოკუმენტების ინდექსირება რეგისტრაცია და ოპერატიულად შენახვა; საკადრო, სპეციალური, საინფორმაციო და საზღვარგარეთ გასაგზავნი დოკუმენტაციის პროექტების მომზადება დამოუკიდებლად;</p> <p>ხელშეკრულებებსა და საკადრო დოკუმენტებზე მუშაობა; ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, შენახვა;</p> <p>მარტივი მონაცემთა ბაზის შექმნა, ელექტრონული დახარისხება და ფილტრაცია;</p> <p>ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და მასთან დაკავშირებული მარტივი კალკულაციის წარმოება-ბიუჯეტირება: ოფისის ყოველდღიური ხარჯების აღწერა, მონაწილეობის მიღება წლიური ბიუჯეტის შედგენაში, ხელმძღვანელთან საუბრის რეგლამენტის დაცვა; გუდური მუშაობა .</p> <p>საპროტოკოლო მომსახურების უზრუნველყოფა, მათ შორის: უზრუნველყოს მოწვევები; ვიზები; სასტუმროები; ბილეთები; სტუმრის დახვედრა /გაცილება; საქმიანი სადილის ორგანიზება.</p> <p>საოფისე ტექნიკის გამოყენება;</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის დაზუსტება, სწორად დამუშავება და ანალიზი; რესპოდენტებთან ურთიერთობის წესების დაცვა;</p> <p>აქვს საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების ანალიზის უნარი;</p> <p>შეუძლია მონაცემების დამუშავების პროცესში უზუსტობების დადგენა და პრობლემების მოგვარება;</p> <p>პერსონალის საქმიანობის ორგანიზება; ელექტრონული ფოსტის შემოწმება და მასზე რეაგირება; შეუძლია მატერიალურ -ტექნიკური საშუალებების იდენტიფიცირება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე; შეუძლია ხელშეკრულებების შედგენა და მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმების წესი; უძლია ინტერპერსონალური კომუნიკაცია;</p> <p>შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება, ზეპირ და წერილობით საკითხებზე B1 დონე; უცხოურ ენაზე დოკუმენტების შედგენა; სავიზო პროცედურებზე ინფორმაციის მიღება .</p> <p>სხვადასხვა საოფისე კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა(MS Windows; MS Word; MS Excell; Power Point ; Internet მუშაობა. მათ შორის ბიუჯეტზე მუშაობისას, შეუძლია მარტივი საფინანსო დოკუმენტების მომზადება.</p> <p>გამართული საუბარი და წერილობითი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე.</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი მეთოდების შესწავლა.</p> <p>ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრსით სწავლის და თვითგანვითარების შემდგომ გაგრძელებაზე.</p>
ღირებულებები	<p>მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად :</p>

	<ul style="list-style-type: none"> • იცავს კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ ყველა წესს; • არის პუნქტუალური , მოწესრიგებული,კომუნიკაბელური; • აქვს კორპორატიული კულტურა; • კრეატიული აზროვნება; • გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღების უნარი ; • კეთილსინდისიერი; • საქმისადმი ერთგული; • კომუნიკაბელური; • კონფიდენციაურობის დამცველი; • გულისხმიერი; • ყურადღებიანი; • ტაქტიანი; • პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული; <p>პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და სარისხიანად შესრულებაზე.</p>
--	--

დასაქმების სფეროები – ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერანტის) კვალიფიკაციის მქონე პირი დასაქმდება საჯარო და კერძო სტრუქტურებში ყველგან, სადაც მიმდინარეობს საქმისწარმოება.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: ბუღალტერი**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

პროგრამის მოცულობა: 30 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა: 20 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ზოგადი განათლების საბაზო საფეხური

პროგრამის მიზანი – პროფესიული პროგრამის მიზანია კვალიფიკაციური ბუღალტერ-მოანგარიშის მომზდება, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცის: სამეურნეო მოვლენების მიხედვით დოკუმენტების შედგენის, დოკუმენტირებული სამეურნეო მოვლენის საბუღალტრო ანგარიშებში ჩაწერის, საბუღალტრო ანგარიშებში ნაშთების გამოთვლის, საცდელი ბალანსის შედგენის, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპები და პროცესები. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პოსტულატები, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი და მისი ელემენტები; ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების არსი, სახეები, კვალიფიკაცია, აღრიცხვის თავისებურებები. ფინანსური ანგარიშგების შედგენის მეთოდიკა. ბუღალტრული ციკლის ასახვის სპეციფიკა სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაციიდან - ფინანსური ანგარიშგების ჩათვლით. ბიზნესის სამართალი და ეკონომიკის საფუძვლები;</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შემღებს: არსებული სტანდარტული მეთოდების გამოყენებას და ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული კონკრეტული სამუშაოს შესრულებას (ბუღალტრული დოკუმენტაციის შედგენა, საბუღალტრო ოპერაციები, ბურალტრული ანგარიშგება და ა.შ) წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით.</p> <ul style="list-style-type: none"> • დათვლას აღწერას და გამოთვლითი სამუშაოების შესრულებას; • პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების შედგენას; • პირველადი დოკუმენტების საფუძველზე კრეფითი უწყისების შედგენას; • ბუღალტრულ გატარებაში მინიშნებული ოპერაციების ასახვას; • ტიპური/გამეორებადი ოპერაციების დამოუკიდებლად ასახვას ბუღალტრულ ანგარიშებში; • დანერგილ საბუღალტრო პროგრამაში სამეურნეო ოპერაციების შეტანას, ოპერაციების კორექტირებას; <p>საცდელი ბალანსის შესადგენი ნაშთების მომზადებას</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია ცალკეულ საბუღალტრო ანგარიშებში თავმოყრილი ინფორმაციის დაჯგუფება, მათ ბაზაზე ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის აუცილებელი პერიოდული ანგარიშგების მომზადება ცალკეული სააღრიცხვო ობიექტებისა და თემატიკის მიხედვით.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>აქვს უნარი: ბუღალტრის ეთიკური ნორმების დაცვა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაცნობიერება და კლიენტურის დარწმუნება შესაბამისი საფინანსო-საბუღალტრო ტერმინოლოგიის გამოყენებით</p> <ul style="list-style-type: none"> • მოკლედ ლაკონურად და გასაგებად დასვას პრობლემური საკითხი და იოლად აღიქვას განხილვისას გამოთქმული მოსაზრება. • მესამე მხარესთან სააღრიცხვო საკითხების გარკვევა; • ამ მიზნით წერილობით გასაგებად ჩამოაყალიბოს მოთხოვნა ან/და პასუხი სააღრიცხვო ინფორმაციაზე, დოკუმენტებზე, ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე. <p>საბუღალტრო დოკუმენტის შინაარსის გაგების უნარი ქართულ და ინგლისურ ენაზე.</p>

სწავლის უნარი	შეუძლია: საბანკო, საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.
ღირებულებები	იცნობს: ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ძირითად ნომრებს. არის პუნქტუალური, კომუნიკაბელური, მოწესრიგებული, კეთილსინდისიერი, მიზანსწრაფული, ყურადღებიანი.

დასაქმების სფეროები – შეუძლია დაიკავოს ბუღალტერ-მოანგარიშის პოზიცია კერძო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობის სააღრიცხვო სამსახურში, ყველგან სადაც მიმდინარეობს ფინანსური აღრიცხვა.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი), აქედან (60%) - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) 24 კრედიტი (600 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 39 კვირა

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, პირის 16 წლის ასაკის შესრულება, კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ აპლიკანტებს, რომელთაც აქვთ მაღალი შეფასება მათემატიკაში.

დამატებითი მოთხოვნები - პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას საბაჟო წარმომადგენელს (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტს) ენიჭება წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.

პროგრამის მიზანი – საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) III საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია შეიძინოს სტუდენტმა თეორიული ცოდნა საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) სფეროში და გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელსაც გამოიყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში. სტუდენტი შეიძენს ცოდნასასაქონლო სახეებისა და მათი გამოყენების სპეციფიკის შესახებ, სწავლის პერიოდში გაეცნობა სასაქონლო დეკლარაციებს და დეკლარაციების ფორმებს, სასაქონლო ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებულ სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტაციის სახეებს, სატარიფო ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს, ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სტრუქტურას და მისი გამოყენების მთავარ პრინციპებს.

სწავლის შედეგი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს საბაჟო დეკლარირების სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. იცის სასაქონლო ოპერაციების სახეები და მათი გამოყენების სპეციფიკა. იცნობს სასაქონლო დეკლარაციებს და დეკლარაციების ფორმებს, სასაქონლო ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებულ სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტაციის სახეებს, სატარიფო ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს, ინტეგრირებულ ტარიფს, ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სტრუქტურას და მისი გამოყენების მთავარ პრინციპებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია გამოიყენოს საბაჟო დეკლარირების სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები. შეუძლია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობის მიზნით სათანადო დოკუმენტაციის, სტანდარტული სავაჭრო დოკუმენტების შედგენა (კონტრაქტი, ინვოისი და სხვ.), სატარიფო ღირებულების, საჭირო ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების განსაზღვრა, სასაქონლო ნომენკლატურის კოდის განსაზღვრა, კონკრეტული საქონლისა და სასაქონლო ოპერაციების მიხედვით გადასახადის სახეობებისა და განაკვეთების განსაზღვრა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. შეუძლია კლიენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, მონაცემების გადამუშავების პროცესში უზუსტობის აღმოჩენა, უზუსტობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა, მის ხელთ არსებული წყაროებიდან დამატებითი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, მომხმარებელთა საჭიროების გააზრება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციაში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება. შეუძლია საქმიანი სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი დოკუმენტაციის შედგენა ან არსებული შაბლონების სწორად შევსება, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის გაგზავნა/მიღება თანამედროვე კომუნიკაციის ადეკვატური საშუალებებით, საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო ენაზე შესრულებული დოკუმენტებიდან საჭირო ინფორმაციის მიღება MS Windows, MS Word, MS Excel-ის, ინტერნეტის გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებელთან კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. შეუძლია სასაქონლო ოპერაციების მარეგულირებელ ძირითად აქტებში განხორციელებული ცვლილებების დამოუკიდებლად გაგება წინასწარი მითითებით.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. მოქმედებს საბაჟო</p>

	წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) პროფესიული ღირებულებების შესაბამისად, კერძოდ, მიუხედავად გარემოებებისა, იცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას, შრომის უსაფრთხოების წესებს, ეთიკურ ნორმებს.
--	---

დასაქმების სფეროები – მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მეოთხე საფეხურის პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
სახელწოდება: სადაზღვევო აგენტი**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სადაზღვევო აგენტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი), აქედან (60%) - 36 კრედიტი (900 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 24 კრედიტი (600 საათი) - პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 46 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად - სრული ზოგადი განათლების საფეხური და 18 წლის ასაკის მიღწევა.

დამატებითი მოთხოვნები - პრაქტიკის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სადაზღვევო კომპანიაში გაყიდვების სფეროში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი და მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება.

პროგრამის მიზანი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, აღზარდოს სპეციალისტები, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ სადაზღვევო აგენტის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა, შეიძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, შეძლებენ ფიზიკურ პირებთან (საცალო პროდუქტები) და იურიდიულ პირებთან (მცირე კომპანიები) მუშაობას; პროდუქტების გაყიდვას; სხვადასხვა მასობრივ თავშეყრის ადგილებში სეგმენტების განსაზღვრას და მომხმარებლებზე მათთვის საჭირო პროდუქტის მისადაგებას; დაზღვევისათვის საჭირო ანკეტა-განაცხადის და პოლისების შევსებას.

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს იცის:
------------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> • დაზღვევის არსის, ფაქტების და პრინციპების შესახებ; • სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტერმინოლოგია; • სადაზღვევო აგენტის ყოველდღიური საქმიანობის სპეციფიკა; • სამუშაო დატვირთვის მოცულობა. <p>აცნობიერებს დაზღვევის მნიშვნელობას.</p> <p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაყიდვები (ზოგადი მიმართულებები); • სერვისი + (ეფექტური კომუნიკაცია). <p>იცნობს შემდეგ სადაზღვევო პროდუქტებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტო დაზღვევა (Casco. TPL. MA); • ჯანმრთელობის დაზღვევა (Healthy); • ქონების დაზღვევა (Property); • ტვირთების დაზღვევა (Cargo); <p>ტურისტული დაზღვევა (Travel).</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p> <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფიზიკურ პირებთან (საცალო პროდუქტები) და იურიდიულ პირებთან (მცირე კომპანიები) მუშაობა; • პროდუქტების გაყიდვა; • სხვადასხვა მასობრივ თავშეყრის ადგილებში სეგმენტების განსაზღვრა და მომხმარებლებზე მათთვის საჭირო პროდუქტის მისადაგება; • დაზღვევისათვის საჭირო ანკეტა-განაცხადის და პოლისების შევსება; <p>პროფესიასთან დაკავშირებული საქმიანობის პრეზენტაცია.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p> <p>შეუძლია:</p> <p>ანკეტა-განაცხადში ან პოლისში აღმოჩენილი უზუსტობის/შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი აღმოფხვრისთვის/გასწორებისათვის აუცილებელი პროცედურების დაცვა კლიენტისათვის დისკომფორტის შეუქმნელად.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციაში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ზეპირი და წერილი კომუნიკაცია ქართულ ენაზე; • შეუძლია უცხოურ ენაზე შესრულებული დოკუმენტის წაკითხვა და გაგება; • შეუძლია ინფორმაციის გადაცემა მომხმარებლისათვის; • არის კომუნიკაბელური და პრეზენტაბელური; <p>სრულყოფილად ფლობს კომპიუტერულსაოფისეპროგრამებს (MS Office, PowerPoint).</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>

	შეუძლია სადაზღვევო საქმიანობის შესახებ ახალი ცოდნის მიღება და მომავალი კარიერის დაგეგმვისათვის სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.
ღირებულებები	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p> <ul style="list-style-type: none"> • მოქმედებს მომხმარებელთან ურთიერთობის ნორმების შესაბამისად; • შეგნებული აქვს მომხმარებელთან მიღწეული შეთანხმების მნიშვნელობა და ფასეულობა; • არის თავაზიანი და ყურადღებიანი, ყველა დეტალს აქცევს ყურადღებას; • ახასიათებს ორგანიზებულობა და პუნქტუალურობა; • არის პრეზენტაბელური; <p>რთულ სიტუაციებში არ კარგავს მობილიზაციის უნარს.</p>

დასაქმების სფეროები – სადაზღვევო აგენტის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი დასაქმდება სადაზღვევო კომპანიაში, საბროკერო კომპანიაში და კერძო კომპანიებში, რომელთა საქმიანობა უკავშირდება სადაზღვევო საქმიანობას.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სატრანსპორტო მეურნეობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სატრანსპორტო მეურნეობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროფესიული განათლების საფეხური: III საფეხური

პროგრამის მოცულობა: 20 კრედიტი (500 საათი), აქედან (60%) - 12 კრედიტი (300 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო (40%) - 8 კრედიტი (200 საათი) - სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამის ხანგრძლივობა: 14 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად ზოგადი განათლების საბაზო საფეხური

პროგრამის მიზანი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, აღზარდოს სპეციალისტები, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ ცოდნა ამ წარმოებებისათვის დამახასიათებელი მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორების, საწარმოო ტრავმების და პროფესიული დაავადებების აღმწერი ზოგადი ცნებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, შეიძენს ცოდნას საწარმოო სანიტარიის და შრომის ჰიგიენის ზოგადი დებულებების შესახებ, შეძლებს პროფესიული

საქმიანობიდან გამომდინარე პროფესიული საფრთხეების აცილების გზების და მათ აღმოსაფხვრელად სხვადასხვა გზების მოძიებას.

სწავლის შედეგი

